

ქართული კულტურა ერთიანი სახალხო მოღვაწის
ხანაში (IX—XI სს.)

IX საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოში და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში რთული ვითარება იყო. არაბთა სახალიფოს დაშლის პროცესი სულ უფრო ღრმავდებოდა. სხვა ამირების მსგავსად, თბილისის ამირები ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ, რასაც ბაღდადის სახალიფოს მხრივ დამსჯელი ექსპედიციები მოჰყვებოდა.

VIII ს. ბოლოსა და IX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული პოლიტიკური ერთეული, რომელთა მეფე-მთავრები, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ხალიფებსა და ამირებს შორის მიმდინარე ბრძოლაში ხან ერთი, ხან მეორე ძალის მხარეს იჭერდნენ.

სწორედ სახალიფოს დაშლის პერიოდზე მოდის არაბთა მიერ დაპყრობილი ქვეყნებისა და ხალხების ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა. ამ მხრივ გამონაკლისი არც ქართული პოლიტიკური ერთეულები იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არაბებმა მნიშვნელოვანი კვალი ვერ დააჩვენეს ქართულ კულტურას. იმდროინდელ საქართველოში ქრისტიანობის პოზიციების ძლიერების გარდა, ეს ფაქტი, ალბათ, თვით არაბულ-მუსლიმური კულტურის თავისებურებითაც აისხნება. საქმე ისაა, რომ ამ კულტურის შექმნასა და განვითარებაში არაბებთან ერთად მონაწილეობდნენ არაარაბი და არამუსლიმი მოღვაწეებიც. თუ ამ კულტურის ერთ მნიშვნელოვან ნაკადს თვით არაბები ქმნიან (ისლამამდელი პოეზია, საგმირო პოეზია), ყველა დანარჩენი ნაკადი დაკავშირებულია იმ ხალხებთან, რომლებსაც არაბებთან შედარებით ხანგრძლივი ისტორიული გზა ჰქონდათ გავლილი და გააჩნდათ მეტად მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა, ფესვადგმული როგორც ანტიკურ, ისე ელინისტურ კულტურულ სამყაროში. არაბულ-მუსლიმური კულტურა თავის თავში აერთიანებდა დასავლურ და აღმოსავლურ

ელემენტებსაც. სახალიფოს დასავლეთ ნაწილში ძლიერი იყო რომაულ-ბიზანტიური გავლენა, აღმოსავლეთ ნაწილში კი — ირანული. ამ ელემენტთა სინთეზის ნიადაგზე ჩამოყალიბდა კულტურა, რომელიც არაბულ ენასა და ისლამს დაეფუძნა. ერთხანს შუა საუკუნეების მუსლიმურ აღმოსავლეთში არაბულს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ლათინურს იმავე შუა საუკუნეების დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში.

მაგრამ, რაც უფრო ძლიერდებოდა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა, მით მეტად იზრდებოდა კრიტიკული დამოკიდებულება არაბული ენისადმი. XI—XII სს. გზა გაეხსნა ახალსპარსულს, რომელიც მალე ლიტერატურისა და კულტურის ერთ-ერთ მთავარ ენად იქცა ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ქართული კულტურის საგრძნობი აღმავლობა უკავშირდება არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ხანას და ამ ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებს.

1. ლიტერატურა და საისტორიო მხარე

VIII—X საუკუნეებში მკაფიოდ ჩანს ქართული ეროვნული თვითშეგნების ზრდა. ამას ნათლად ადასტურებს იმდროინდელი ლიტერატურა, კერძოდ, აგიოგრაფია. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის თაობაზე, რომ ქართველ მოღვაწეთა ყურადღება მიმართული იყო, ერთი მხრივ, არაბთა ბატონობით შექმნილი პრობლემებისაკენ, მეორე მხრივ კი, ბერძნულ-ბიზანტიური სამყაროსაკენ, რომელთან მეტოქეობის ტენდენციაც სულ უფრო აშკარად იჩენდა თავს.

ბერძნები სადავოდ თვლიდნენ ქართულ ენაზე ღვთისმსახურების უფლებას, აგრეთვე იმას, შეიძლებოდა თუ არა ქართული ენა მეცნიერებისა და მწერლობის ენა ყოფილიყო. ბიზანტიაში მიღებული შეხედულებით, მწერლობა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ სამ ენაზე, რომელზეც გადმოცემული იყო ჯვარცმული ქრისტეს განაჩენი: ებრაულად, ბერძნულად და ლათინურად. ამ აზრთან დაპირისპირება ყველაზე სრულყოფილად და მკვეთრად აისახა იოანე-ზოსიმეს თხზულებაში „ქება და ღიღება ქართულისა ენისა“ (X ს.): „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსლვისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველთა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“, — ამბობს იოანე-ზოსიმე. „ყოველი საიდუმლოა ამას ენასა შინა დამარხულ არს“; „და

ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა“.

ქართული ენის ბერძნულთან თანასწორობის აზრი საზგასმულია აგრეთვე X საუკუნის აგიოგრაფიულ ძეგლში „ილარიონ ქართველის ცხოვრება“, რომელშიც მოთხრობილია, რომ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ II თავისი ვაჟები აღსაზრდელად მიაბარა არა ბერძნებს, არამედ ილარიონის ქართველ მოწაფეებს, რომელთაც უთხრა: „ლოცვა ყავთ ამათთვის, წმინდანო მამანო, და ასწავეთ ამათ ენაჲ და წიგნი თქუენი, რათა შვილნი ლოცვისა თქუენისანი იყვნენ ეგენი“.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ (X ს.) ერთი პასაჟი. გუარამ კურაპალატი ეკითხება ეპისკოპოსებს: „წმიდანო ღმრთისანო, უკუეთუ ქუეყანასა ჩუენისა ერის-კაცი ვინმე, წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი, მიიწიოს იერუსალიმად, ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა, და იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შუენოდის და ჩუენ შორის არა იყოს, ვინათუ წიგნთაგან წმიდათა გულის-ხმა ყოს და თავით თვისით ერსა უსწავლელსა აუწყებდეს, კეთილ არსა ანუ არა?“ ეპისკოპოსთა პასუხი ასეთია: „წერილ არს: „ტვირთი განწესებული ეყოფინ ნაესა, უკუეთუ დაუმძიმო, დაინთქას, და უკუეთუ სუბუქად იყოს, ქართა და ღელვათა წარუტაცონ“. ეგრეთცა ტვირთი მჯულისაჲ და წესი ქრისტიანობისაჲ, რომელი აწ ქუეყანასა ჩვენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს და ღმერთი დაჯერებულ არს, და ამისთვის ჩუენ ვართ თავის მღებნი: უკუეთუ ვინმე მტკიცედ იპყრას და შეუცვალებლად საქმით ჰყოფდის და არა სიტყვით ვაჭრობდეს, ასი წილი აქვე მიიღოს და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ დაიმკვიდროს“. როგორც ვხედავთ, ქართველები სავსებით დარწმუნებული არიან, რომ მათი ცოდნა საქმარისია როგორც ამქვეყნიური ცხოვრებისათვის, ისე ღვთის გულის მოსაგებად.

IX—X სს. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურა წმინდანთა „მარტვილობებისა“ და „ცხოვრებათა“ ჟანრებითა წარმოდგენილი. ამ ჟანრის თხზულებები, ძირითადად, თანამედროვეთა მიერ იწერებოდა, ზოგჯერ ისინი მოთხრობილი ამბების მონაწილენიც იყვნენ. როგორც წესი, ავტორები არ იფარგლებოდნენ მხოლოდ წმინდანთა ცხოვრების აღწერით; ისინი საყურადღებო ცნობებს გვაწვდიან პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებაც. ეს ვარემოება განსაზღვრავს ამ თხზულებათა ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობას.

აღნიშნული პერიოდის აგიოგრაფიული ძეგლები, შინაარსისა და ხასიათის მიხედვით, რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დავეყოთ: 1) ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული თხზულებანი: „აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა“ (IX—X სს.); 2) არაბთა ბატონობის ხანასთან დაკავშირებული ძეგლები: უცნობი ავტორის „კონსტანტი-ვახაჲს მარტვილობა“ (IX ს.), სტეფანე მტბევეარის „გობრონის მარტვილობა“ (X ს.); 3) წარმართობასთან ბრძოლისა და ქრისტიანობის დამკვიდრების პროცესის ამსახველი ძეგლები: უცნობი ავტორის „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“ (IX ს.) და „წმინდა ნინოს ცხოვრება“; 4) ცხოვრებათა ჟანრის თხზულებები: ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (X ს.), გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (X ს.), „ილარიონ ქართველის ცხოვრება“ (X ს.).

ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ერთი უშესანიშნავესი ძეგლია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ნაწარმოების ენა სრულყოფილია, სტილი დახვეწილი, სიუჟეტი რეალისტურია და დრამატულად ვითარდება, ბრწყინვალეაა გადმოცემული მოქმედ პირთა ხასიათი, მისწრაფებები და განცდები.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ავსებს ჩვენს წარმოდგენას IX—X საუკუნეების ქართული მწერლობის შესახებ. მასში მოხსენიებული არიან როგორც ქართველი მწიგნობრები (სოფრომ შატბერდელი, ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყვერელი, სტეფანე მტბევეარი), ისე უცხოელ ავტორთა (ეფრემ ასურის, გრიგოლ ნაზიანზელის და სხვ.) თხზულებანი. არის ციტატებიც უცხოელ ავტორთა (იპოლიტე რომაელი — ახ. წ. 200—235 წწ.) შრომებიდან. ამ ნაწარმოებებს, ბუნებრივია, იცნობდა იმდროინდელი ქართული საზოგადოების განათლებული ნაწილი.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, ისევე როგორც სხვა აგიოგრაფიულ თხზულებებს, დიდი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს. მასში ისტორიული სიზუსტითაა გადმოცემული VIII—IX სს. სამხრეთ საქართველოს — ტაო-კლარჯეთის — პოლიტიკური ცხოვრება, სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობანი, სამონასტრო მშენებლობის ამბები, ეკლესიის მდგომარეობა, დამოკიდებულება საერო და საეკლესიო ფეოდალებს შორის, ფეოდალთა პირადი ცხოვრების ეპიზოდები.

ფრიად საყურადღებო ცნობებია დაცული ქართული ეკლესიის, კერძოდ, მისი ავტოკეფალიის ისტორიისათვის. თხზულებაში მოთხრობილია ქართლის კათალიკოსის არჩევის ამბავი: კათალიკოსს ქართული ეკლესია ირჩევს დამოუკიდებლად, რომელიმე გარეშე ძალასთან ყოველგვარი შეთანხმებისა და თათბირის გარეშე. ავტორი თანამიმდევრულად და ცოცხლად აგვიწერს არჩევნების მთელ პროცესს, ყველა წერილმანს, კერძო მოლაპარაკებას კანდიდატთა ირგვლივ. ერთი სიტყვითაც არ იხსენიება რომელიმე სხვა პატრიარქი, უცხო ხელისუფლება. ამრიგად, ქართული ეკლესია წარმოგვიდგება როგორც დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული საეკლესიო ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ავტოკეფალური ეკლესიის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი.

საინტერესოა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემის ინტერპრეტაციაც. ეს სადავო საკითხი იყო იმ პერიოდის დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში. დასავლეთში V—VIII სს. მანძილზე თანდათანობით ჩამოყალიბდა რომის პაპთა ხელისუფლების უზენაესობა საერო ხელისუფლებასთან შედარებით, 755 წ. კი საფუძველი ჩაეყარა პაპების საერო ხელისუფლებას. IX საუკუნეში საიმპერატორო ტახტის ბოძება რომის პაპის ხელში მოექცა.

აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში, კერძოდ, საქართველოში საერო ხელისუფლებამ გამიარჯვა, თუმცა აქაც საკმაოდ ძლიერი იყო სამღვდელთა პრეტენზიები სასულიერო ხელისუფლების უზენაესობაზე. ეს ვითარება აისახა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“. „დიდებულო მეფეო, — ეუბნება საბა იშხნელი ბაგრატ კურაპალატს, — შენ ქვეყანისა ხელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე — ზეცისა და ქვეყანისა და ქვესკნელთაჲ; შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე — ყოველთა დაბადებულთა; შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე — საუკუნოჲ მეუფე და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი მეუფე ანგელოზთა და კაცთაჲ“. ასეთია საეკლესიო პირთა არგუმენტი იმის ნათელსაყოფად, რომ საერო ხელისუფლებას სასულიერო ხელისუფლების მორჩილება მართებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ X საუკუნეში გიორგი მერჩულეს პირით პირველად შემოდის და განისაზღვრება ცნება „ხაქართველო“ — „ქართლი“: „ქართლად ფრიადი ქვეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

VII—VIII საუკუნეებიდან იღებს სათავეს ქართული სასულიერო პოეზია — ჰიმნოგრაფია. მისი პირველი ნიმუშები ბერძნულიდან ნათარგმნია, შემდეგ ჩნდება ორიგინალური ძეგლებიც, რომლებიც უმაღლეს საფეხურს X საუკუნეში აღწევენ. ამ დროს ქმნიდნენ შესანიშნავ პოეტურ ჰიმნებს იოანე-ზოსიმე, იოანე მინჩხი, იოანე მტბევარი, მიქელ მოღრეკილი, იოანე ქონქოზის ძე, სტეფანე ჭყონდიდელი, კურდანი, ფილიპე, ეზრა და სხვები. ისინი ზოტბას ასხამდნენ ქართული და მსოფლიო ეკლესიის წმინდანებს და დღესასწაულებს. ჰიმნოგრაფიულმა პოეზიამ როგორც ფორმით, ასევე თემებითა და მოტივებით მნიშვნელოვნად განსაზღვრა მომდევნო პერიოდის საერო პოეზიის სახე და ხასიათი. ქართული სასულიერო პოეზიისათვის დამახასიათებელია არა მარტო „იამბიკო“, რომელსაც გააჩნია მარცვალთა რაოდენობა და, ზოგჯერ, მარტივი რითმის ჩანასახიც, არამედ თექვსმეტმარცვლოვანი შაირი (ფილიპეს „ბეთლემის საგალობელი“). აქედან გამომდინარე ასკენიან, რომ საერო პოეზიის საღეჭსო ფორმა სასულიეროსაგან არის მექვიდრეობით მიღებული.

ამავე პერიოდში შემუშავდა ეროვნული ეორტალოგია. დაწესდა წმინდა ქართული დღესასწაულები ეროვნული მოღვაწეებისა და სხვადასხვა ძოვლენის აღსანიშნავად. ეს დღესასწაულები შეტანილ იქნა ქართულ კალენდრებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე-ზოსიმეს კალენდარი „კრებაჲ თთუეთაჲ წელიწდისათაჲ“. იგი შეიცავს ცნობებს პალესტინის სხვადასხვა მონასტრისა და წმინდა ადგილების ადგილმდებარეობის, ისტორიის, წინამძღვართა და კტიტორთა შესახებ. იოანე-ზოსიმეს კალენდარში ქართველი წმინდანებიც შეყავს: აბოთბილელი (7 იანვარი), მეფე არჩილი (15 იანვარი), მანგლისის ჯვარი (20 მაისი), დედოფალი შუშანიკ (17 ოქტომბერი) და სხვ.

იმ დროს ქართველებს შეუქმნიათ სახარების საკითხავების საკუთარი, ქართული „წესი და განება“, თუმცა მათ უკვე ჰქონდათ „განგებაჲ სახარებისაჲ ბერძნულსა წესსა ზედა“. შეუდგენიათ აგრეთვე საკუთარი „განყოფაჲ კანონთაჲ ან ფსალმუნთა“. იოანე-ზოსიმეს სიტყვით, ქართველებს დაუმუშავებიათ წელთაღრიცხვის ქართული სისტემაც, რომელსაც, ბერძნულისაგან გასარჩევად, „ქართველთა სათუალავი“ ეწოდება.

საისტორიო მწერლობის ჟანრს მიეკუთვნება სომხურ-ქართულ საეკლესიო პოლემიკასთან დაკავშირებით აღმოცენებული თხზულება

„განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ (IX ს.), რომელიც არსენ კათალიკოსს ეკუთვნის, და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (IX ს.).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ უძველეს საერო საისტორიო თხზულებაა და მიჩნეული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველია ისტორიული ქრონიკა, სადაც თხრობა ძვ. წ. IV საუკუნიდან ახ. წ. IX საუკუნემდე მოდის: აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდარული ლაშქრობა კავკასიაში, დასახელებულია წარმართობის ხანის ქართველ მეფეთა და მათი ღმერთების სახელები, მოთხრობილია ბერძენთა მოქცევის, ქართლის განმანათლებლის მცხეთაში მოსვლისა და ქართლის გაქრისტიანების ამბავი; შემდეგ მოდის ქართლის მეფეთა (მირიანიდან), კათალიკოსთა და ერისთავთა ვრცელი სია IX საუკუნემდე. თხზულების მეორე ნაწილია „ნინოს ცხოვრება“ — ნინო კაპადოკიელის ცხოვრება-მოღვაწეობის აღწერა.

„ნინოს ცხოვრების“ დათარიღების საკითხი პრობლემურია. იგი ჩვენამდე რამდენიმე რედაქციის სახითაა მოღწეული. უძველესი ნუსხა X საუკუნის „შატბერდის კრებულშია“ დაცული. მკვლევართა ნაწილი მას IX საუკუნით ათარიღებს, ნაწილი უფრო ადრეული ხანის ძეგლად თვლის. უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია ნინოს უმცროსი თანამედროვის — სალომე უჯარმელის მიერ შეკრებილ და რედაქტირებულ მოგონებათა კრებულს უნდა წარმოადგენდეს.

თხზულების ავტორს გამოუყენებია როგორც ქართული, ისე უცხოური (ბერძნული, სირიული, სომხური, სპარსული) წყაროები: რუფინუსის, აგათანგელოსის, მოსე სორენელის და სხვა თხზულებანი.

ნაწარმოები განმსჭვალულია ქართული ეროვნული სულისკვეთებით, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება ქართველთა განმანათლებლისა და ბიზანტიურ სამყაროსთან დამოკიდებულების საკითხთა ავტორისეულ ინტერპრეტაციაში.

ქართლის გაქრისტიანების ამბავი ორი ვერსიის სახით იყო შემონახული: ბერძენი ისტორიკოსები ქართლის განმანათლებლად თვლიდნენ ვინმე ტყვე ქალს და საბერძნეთიდან მოწვეულ სამღვდელეობას. სომხური მწერლობიდან მომდინარე ვერსიის თანახმად კი ქართველთა განმანათლებელი იყო გრიგოლ პართელი — სომხეთში ქრისტიანობის მქადაგებელი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ავტორი აშკარად უპირისპირდება როგორც ერთ, ისე მეორე ვერსიას: საქართველოს თავისი განმანათლებე-

ლი ჰყავდა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია გრიგოლ სოქესთა განმანათლებელთან; იგი წარმოშობით კაპადოკიელია, წარჩინებულ მშობელთა შვილი. უფრო მეტიც: საქართველოში მოსვლამდე ნინომ ქრისტიანულ რჯულზე მოაქცია დედოფალი რიფსიმე და მისი ორმოცი (ორმოცდაათი) მსლებელი. ქართლ-კახეთისა და მთიულეთის მოქცევის შემდეგ ნინო, მის მიერ გაქრისტიანებული სუფი დედოფლის მეშვეობით, ბოღბეში ნათლავს სომხური პროვინციების — სივნიეთისა და გუასპურაგანის — მთავრებს. როგორც ვხედავთ, „მოქცევაჲ“-ს ავტორს ნინო მთელი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, მათ შორის სომეხთა განმანათლებლადაც გამოჰყავს.

თუ გავისვენებთ დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა მწვავე პოლემიკას ქალკედონის 451 წ. მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ, ამ ნიადაგზე წარმოშობილ ქართველ-სომეხთა საეკლესიო დაპირისპირებასა და შემდგომ — განხეთქილებას, „მოქცევაჲ“-ს ავტორის პოზიცია სავსებით გასაგები უნდა იყოს. VIII—IX საუკუნეებში (და შემდეგაც) სომხურ ეკლესიას ჰეგემონისტური მისწრაფებები გაუჩნდა და ამიერკავკასიაში პირველობას იჩემებდა. ეკლესიურ დავაში პოლიტიკური (საშინაო და, განსაკუთრებით, საგარეო) მომენტებიც ერთვება და დაპირისპირება მეტად მწვავე სახეს იღებს. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აშკარად ასახავს იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის მტკივნეულ საკითხებს.

თხზულებაში ასევე ნათლად ჩანს ქართული კულტურის ბერძნულ-ბიზანტიურთან გათანაბრებისა და მასთან დაპირისპირების ტენდენცია. საგანგებოდაა ხაზგასმული ნინოს კაპადოკიელობა და ის გარემოება, რომ იგი ქართლში ქრისტიანობის საქადაგებლად იერუსალიმიდან მოდის. ბიზანტიელები, რუფინუსისა და გელასი კესარიელის ცნობებზე დაყრდნობით, თავს ქართველთა განმანათლებლად მიიჩნევენ. „მოქცევაჲ“-ს ავტორი კი გარკვევით ამბობს: ქართული ქრისტიანობა ბერძნულ-კონსტანტინოპოლური კი არა, იერუსალიმური წარმომავლობისაა. ნინოს ერთგვარი წილიც კი უდევს ბიზანტიელთა გაქრისტიანებაში — საქართველოში მოსვლამდე იგი კონსტანტინოპოლს გაემგზავრა ელენე დედოფლის მოსაქცევად. კონსტანტინე დიდის დროიდან ბიზანტიელები ამაყოფნენ მათთან დაცული ქრისტიანული რელიკვიებით. ქართველი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ბერძენთა საამაყო „ძელი ცხოვრებისაჲ“ — ქრისტეს ძელი ან ჯვარი მთლიანად მათ

კუთვნილებას არ შეადგენს, „ნაწილნი მისნი“ ჩვენშია, ისევე როგორც „სამსჭუალნი“ — ლურსმნები, რომლითაც ქრისტე ჯვარზე იყო მიკრული—და ქრისტეს „ფერხთა ფიცარი“, რომელიც ბერძნებს საერთოდ არ გააჩნიათ. უფრო მეტიც: ქართლის როლი ქრისტიანულ სამყაროში ჯერ კიდევ ქრისტიანობის აქ დამკვიდრებამდე განისაზღვრა: „ქვეყანასა ამას ქართლისასა წილად ხვდა სამოსელი იგი ქრისტესი ზე ვარდმოსილი, რომელ არს კუართი უფლისა“. თუ ბიზანტიელთა სატახტო ქალაქი ღვთისმშობლის საგანგებო მფარველობის ქვეშაა, ქართლი (იბერია) იმავე ღვთისმშობლის წილხვედომილია.

ქართლის ღვთისმშობლისადმი „წილხვედომილობის“ აზრი ჩვენში სწორედ IX საუკუნეში ჩაისახა, X საუკუნეში კი მთელ სისტემად ჩაშოყალიბდა. „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ იგი შემდეგი სახით შედგენდება: ულუმბოს მთაზე მისულ ილარიონს და მის მოწაფეებს ადგილობრივი ბერძნული ლავრის მამასახლისმა იქიდან განდევნა მონდომა, რისთვისაც ღვთისმშობლის წყრომა დაიმსახურა: „უბადრუკო! რაჲსა ინებე განძებაჲ უცხოთა მათ, რომელნი მოსრულ არიან სიყუარულისთვის მისა და ღმრთისა ჩემისა? ანუ არა უწყია, ვითარმედ მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყუელნი? და რომელნი მათ არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან, რამეთუ ჩემდა მინიჭებულ არს ძისა მიერ ჩემისა ნათესავი იგი შეურყეველად მართლმადიდებლობისათვის მათისა, ვინაითგან ჰრწმენა სახელი ძისა ჩემისა და ნათელ იღეს“.

მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს ანდრია პირველწოდებულის სამისიონერო მოღვაწეობას საქართველოში. საქმე ისაა, რომ სახალიფოსთან ბრძოლაში ჩაბმული ბიზანტია ქართველებს მოლოდ პოლიტიკურ მოკავშირეებად კი არ ხედავდა, არამედ მათზე საკუთარი ბატონობის განმტკიცებას ესწრაფვოდა. ეს საეკლესიო სფეროსაც შეეხო. IX საუკუნის დამდეგს ბერძნულ ენაზე დაიწერა „მოსახსენებელი მიმოსლვათათვის და ქადაგებათა მოციქულთა ანდრეასი“; მასში მოთხრობილია საქართველოში ანდრიას მოღვაწეობა, საიდანაც გამომდინარეობს, რომ ქართულ ეკლესიას ანდრიამ ჩაუყარა საფუძველი. ამავე დროს ანდრია აღიარებული იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პატრონად, განსაკუთრებით 357 წლიდან, როცა იმპერატორმა კონსტანტინემ მისი ნეშტი კონსტანტინოპოლს გადაას-

ვენა. ეს საფუძველს აძლევდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ჩარეულიყო ანდრიას მიერ გაქრისტიანებულ ხალხთა საეკლესიო საქმეებში. სწორედ ამიტომ „მოქცევაჲ“-ს ავტორი საერთოდ არ ახსენებს ანდრიას სახელს და სავსებით დამოუკიდებელი მისიონერის — ნინოს მოღვაწეობაზე საუბრობს.

IX—X სს. ლიტერატურამ და ისტორიოგრაფიამ ნიადაგი მოუმზადა ქართული ლიტერატურული და საისტორიო აზროვნების შემდგომ განვითარებას და წარმატებას.

2. ფილოსოფიური აზროვნება. სამართლებრივი კულტურა

IX—X სს. ქართულ მწერლობაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ „საეკლესიო სწავლას“ და „ამის სოფლისა ფილოსოფოსთა სიბრძნეს“. საერო და საეკლესიო მოძღვრებებს ქართველი მოაზროვნეები საგანგებო ტერმინებით აღნიშნავენ. ბასილ ზარზმელი ლაპარაკობს „სწავლათა საღმრთოთა“ შესახებ: „ხოლო სანატრელი სერაპიონ აღივსო სულითა წმიდითა და მსგავსად მდინარისა აღმოადინებდა თაფლთმწითოვართა მით ენითა სწავლათა საღმრთოთა“. გიორგი მერჩულესთან იხსენიება „სწავლა საეკლესიო“ და „ამის სოფლისა ფილოსოფოსთა სიბრძნე“: „ხოლო გულისხმიერებაჲ სწავლისა განსაკვირვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“ და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ სამოდუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა, და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათა და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწურთნა: ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად, და რომელ პოვის სიტყუაჲ კეთილი — შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის“.

გიორგი მერჩულეს მსოფლმხედველობით, სინამდვილე ორ ნაწილად, ორ „სოფლად“ არის გაყოფილი. ამქვეყნიური სინამდვილე მისთვის „საწუთრო“ — წუთიერი, წარმავალი; იმქვეყნიური — „საუკუნო“, მარადიული და უცვლელი.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავი ძეგლია „სიბრძნე ბალავარისი“. ეს არის აგიოგრაფიულ-მორალური და დოგმატურ-ასკეტური ხასიათის ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს ბუდას ცხოვრების ქრისტიანულ-ქართულ ვერსიას. ბუდას ცხოვრების ინდური ამბავი VI საუკუნეში დამუშავდა ფაჰლავურ (საშუალო სპარსულ) ენაზე. ფაჰლავური ვერსია დღემდე არ შემორჩენილა. მისი თარგ-

მნის შედეგად VIII საუკუნეში შეიქმნა არაბული ვერსია. რაც შეეხება ქართულ თარგმან-ვერსიას, მისი შექმნის დრო და მთარგმნელის ვინაობა საბოლოოდ დადგენილი არ არის; მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „სიბრძნე ბალავარისი“ ქართულად X საუკუნეში უნდა ეთარგმნათ. მეორე ნაწილი თარგმანის დროდ VIII საუკუნეს მიიჩნევს. ქართული თარგმანის წყაროდ დიდხანს არაბულ ვერსიას თვლიდნენ, დღეს ასეთად ფაქტური ვერსია აღიარებული.

ნაწარმოები მხატვრულ-ლიტერატურული ხასიათისაა, მაგრამ მასში მრავალი ფილოსოფიური საკითხია დასმული: ამქვეყნიური და მარადიული ცხოვრების, ჭეშმარიტების ძიების, ადამიანის გონების, გონებასა და სურვილს შორის მარადიული ბრძოლისა და სხვ. გამოყენებულია სხვადასხვა წყარო, მათ შორის არისტიდეს „აპოლოგია“ (III ს.), ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“, არეოპაგეტიკის ზოგიერთი დებულება, ალაპიტე კონსტანტინოპოლელის, „სამეფო ქართა ანუ ტომარი“ (VI ს.) და სხვ.

„სიბრძნე ბალავარისი“ მოგვითხრობს, რომ ფუფუნებით აღზრდილი, ყოველგვარ საწუხარს გულდაგულ გარიდებული უფლისწული (ინდურის ბოდისატვა, ფაქტური-არაბულის ბუდასფი, ქართულის იოდასაფი, ბერძნულის იოსაფი ან იოსაფატი) ბედისწერის ძალით მაინც გადაეყრება სოფლის ამაოების მაცნეებს — ბერიკაცს, სნეულს, გარდაცვლილის გვამს. შემდგომად ჭაბუკს სულიერ მხსნელად მოვლენილი ასკეტი ბერი ბალაჰვარი (ბერძნული ვერსიის ვარლამი) განუმარტავს, რომ ამქვეყნად ყოველივე წარმავალია და ფუჭი. უფლისწული ტოვებს მამისეულ სასახლეს, მეუღანოდ იქცევა, მრავალი წლის სულიერი ძიების შემდეგ სწვდება ჭეშმარიტებას და სამშობლოში ბრუნდება. აქ იგი გაანათლებს თავის მამას — ადრე ქრისტიანობის მღვანელ აბენესს, აგრეთვე ქვეშევრდომებს.

ეს სასულიერო რომანი, თავისი საინტერესო ფაბულითა და ღრმა-აზროვანი იგავებით, ძალიან პოპულარული და ფართოდ გავრცელებული იყო შუა საუკუნეების როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ სამყაროში. იგი თითქმის ყველა საქრისტიანო მწერლობის ენაზეა თარგმნილი და გააზრებული. მოგვიანებით, XI ს. 40-იან წლებში, „სიბრძნე ბალავარისი“ ქართულიდან ბერძნულად უთარგმნია ექვთიმე ათონელს. სწორედ ქართული ქრისტიანული ვერსიიდან იღებს დასაბამს ბერძნული და, მისი მეშვეობით, ყველა ევროპული ვერსია.

„სიბრძნე ბალავარისი“ ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუშია აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა ორგანული სინთეზისა, რასაც ოდიტ-გან ესწრაფოდა ქართული კულტურა. მასში თავმოყრილია შუა საუკუნეების ქართული მწერლობის მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურული პრობლემატიკა. ეს განაპირობებს ნაწარმოების კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობას.

რაც შეეხება სამართლებრივ კულტურას: ფრაგმენტული ცნობები, რომლებმაც IX—X საუკუნეებიდან ჩვენამდე მოადწია, მიგვითითებს საოჯახო სამართლის ნორმების, საკუთრების უფლების გამომხატველი ტერმინების, საკუთრების გაყოფის წესის არსებობაზე. შემუშავებულია სისხლის სამართლის ისეთი რთული ცნება, როგორცაა „ბრალი“.

3. ინგოროყვამ დაადგინა მერჩულეთა (მერჯულეთა) ინსტიტუტის არსებობა X ს. საქართველოში. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორია გიორგი მერჩულე — სჯულის მეცნიერი, თეოლოგი, სჯულის მოძღვარი, სამართლის მცოდნე. თავად გიორგი მერჩულე გვაწვდის ცნობას იმის თაობაზე, რომ იმ დროს ბევრი ვინმე მერჩულეობდა — არა მარტო საეკლესიო, არამედ საერო პირიც.

3. ბანათლვა. კულტურის პირები. მთარგმნელობითი მუშაობა და საბალავარლო საქმიანობა

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და „ილარიონ ქართველის ცხოვრებაში“ დაცული ცნობები წარმოდგენას გვაძლევს იმის თაობაზე, თუ რას ასწავლიდნენ მაშინდელ სკოლებში. გიორგი მერჩულე გვაუწყებს, რომ გრიგოლ ხანძთელს უსწავლია „დავითნი და ხმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ... და მწიგნობრობაჲ მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნი“, აგრეთვე „სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ“.

არსებულა დიდებულთა შეილები აღსაზრდელად გაბარების ჩვეულება. გრიგოლ ხანძთელი გაუბარებიათ თავისი მამიდის, ერისთავთ-ერისთავ ნერსეს მეუღლის სახლში. ბავშვებს სასულიერო პირებსაც მიაბარებდნენ ხოლმე. მაგალითად, ილარიონ ქართველი მამამ „მისცა სწავლად კაცსა ღირსსა და ღმრთის მოყუარესა, რომელი იყო დაბასა მისსა, სადა იყოფებოდა თვით იგი“.

განათლებისა და კულტურული მოღვაწეობის მნიშვნელოვან კერებს წარმოადგენდა მონასტრები.

VIII ს. ბოლოდან განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა სამონასტრო მოძრაობა ტაო-კლარჯეთში. ამ დროს ჩნდება მეტად მნიშვნელოვანი საეკლესიო-კულტურული ცენტრები: ოპიზა, შატბერდი, იშხანი, წყაროსთავი, ტბეთი, ოშკი, ბანა, ხანძთა, პარხალი, ბერთა და სხვ. სამონასტრო ცხოვრებას სათავეში ედგნენ გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები.

ოპიზაში ბერები VIII ს. 30-იან წლებში დამკვიდრებულან. გრიგოლ ხანძთელის გარდა, აქ მოღვაწეობდნენ მიქელ პარხელი, გიორგი შაწყვერელი, სერაპიონ ზარზმელი. IX საუკუნეში მონასტერი განუახლებია აშოტ კურაპალატის ძეს გვარამს. ოპიზა ქართული მწერლობის მნიშვნელოვანი კერა იყო. აქ არის გადაწერილი ე. წ. ოპიზის სახარება (913 წ.).

შატბერდს „საქართველოს სინაჲ“-ს უწოდებდნენ. ამ მონასტერში გადაუწერიათ ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორცაა ადიშის სახარება (897 წ.), ჯრუჭის სახარება (936 წ.), პარხლის სახარება (973 წ.), უდაბნოს მონასტრის მრავალთავი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია შატბერდის კრებული (დაახლ. 973 წ.), რომელშიც, სხვა თხზულებებთან ერთად, შედის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და „ნიწოს ცხოვრება“.

იმავე ხანაში არსებობდა ტბეთის მონასტერი, იგივე ტბა. 918 წელს იგი საეპისკოპოსო კათედრა გახდა. აქაურ მწიგნობართა შორის უნდა დაეასახელოთ სტეფანე მტბეყარი — „გობრონის მარტილობის“ ავტორი.

ოშკის მონასტერი IX ს. ბოლოსა და X ს. დამდეგს აუშენებია აღარნასე კურაპალატს. აქ გადაწერილ ხელნაწერთა შორის უნდა აღინიშნოს უძველესი ქართული ბიბლიის ერთადერთი ცალი, რომელიც 978 წ. ორ წიგნად გადაუწერიათ გიორგის, მიქელსა და სტეფანეს. აქვე 977 წ. გადაუწერიათ იოანე მოსხის სამოთხე ან ლიმონარი.

ბერთას მონასტერშია გადაწერილი ცნობილი ბერთის სახარება.

X საუკუნეში უნდა იყოს აშენებული პარხალის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. იოანე ბერაჲს ამ მონასტრისათვის შეუწირავს მის მიერ 973 წ. შატბერდში გადაწერილი სახარება, რომელიც პარხლის სახარების სახელითაა ცნობილი.

კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ ტაო-კლარჯეთის მონასტრებში ჩამოყალიბდა ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული სალიტერატურო სკოლა, რომელმაც შეიმუშავა საკუთარი გრამატიკა, ენა, კალიგრაფია და მიმართულება.

ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთაც არსებობდა: პალესტინაში, სინას მთაზე, შავ მთაზე ანტიოქიის მახლობლად, ათონის მონასტერი საბერძნეთში.

ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა პალესტინაში არსებულმა საბას ლავრამ, რომელსაც ქართველები საბაწმინდას უწოდებდნენ. იგი მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით 13—15 კმ-ზე. ლავრაში რამდენიმე ასეული ბერი მოღვაწეობდა — ბერძნები, სირიელები, სომხები და სხვ. სავანის დამაარსებელი იყო საბა განწმენდილი (439—532 წწ.) — ცნობილი სასულიერო მოღვაწე. ქართველები საბაწმინდას ადრევე სწვევიან, საბას გარდაცვალების დროისათვის კი მათ უკვე ჰქონიათ თავიანთი ეკლესია და ზოგიერთი საეკლესიო წიგნის დედაენაზე კითხვის უფლებაც მიუღიათ. ამას გვაუწყებს საბას ანდერძი, რომელზეც ზემოთ ვვქონდა საუბარი. VIII—X სს. აქ ქართველები აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ. დღეს სინას მთაზე დაცულ თარიღიან თუ უთარიღო ხელნაწერთა უმრავლესობა სწორედ საბაწმინდის ლავრაშია დაწერილი ან ნათარგმნი აღნიშნულ პერიოდში. იმ დროს უნდა ჩამოყალიბებულიყო ის ხელიც, რომელსაც ჩვენი ძეგლები საბაწმინდურს უწოდებენ.

როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ჩანს, IX საუკუნეში ქართველებს განსაკუთრებით მჭიდრო კონტაქტი ჰქონიათ საბაწმინდის ლავრასთან. აქედან მოატანინა გრიგოლმა „საბაწმინდის განგებაჲ“. აქ იყო გრიგოლის ორი მოწაფე, არსენი და მაკარი, ამ უკანასკნელს 864 წ. გადაუწერია ცნობილი „სინური მრავალთავი“ — მოზრდილი კრებული, რომელიც 52 სხვადასხვა შინაარსის ნაწარმოებს შეიცავს. პალესტინაში ქართველებს ჰქონიათ მეორე ცენტრიც — ხარიტონის ლავრა.

IX—X სს. არაბებმა ძლიერ შეავიწროვეს პალესტინის მონასტრები, განსაკუთრებით — საბაწმინდის ლავრა. ამიტომ ქართველები ნაწილობრივ აყრილან იქიდან და სინას მთაზე გადასახლებულან. სინას მთა, როგორც უფრო შორეული პუნქტი (იგი სინას ნახევარკუნძულის

სამხრეთით მდებარეობს — არაბეთის ნახევარკუნძულსა და აფრიკას შორის), შემოსევებისაგან შედარებით დაცული იყო და არაბთა ძალმომრეობასაც ნაკლებად განიცდიდა. აქ შენახულა ჩვენი უძველესი ხელნაწერები. მათი უმეტესი ნაწილი საბაწმინდის ლავრიდანაა გადმოტანილი. შემუშავებულა ე. წ. სინას მთის ხელი. სინას მთის მოღვაწენი უმთავრესად გადაწერას მისდევდნენ: წერდნენ არა მარტო ქართულ, არამედ ბერძნულ და არაბულ ხელნაწერებსაც, რაც იმით დასტურდება, რომ ბევრ მათგანს ქართული პაგინაცია აქვს. X საუკუნეში ქართველებს საკუთარი ეკლესიებიც ჰქონდათ სინას მთის მონასტერში. ამ საუკუნის სინას მთის მოღვაწეთა შორის იყვნენ იოანე-ზოსიმე, იოანე კუმურდოელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა მღვდელმონაზონი და სხვები. სინას მონასტერი ქართველთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზღვარგარეთული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო.

ბიზანტიაში არსებულ ქართულ კერებს შორის აღსანიშნავია ილარიონ ქართველის მიერ 864 წ. მცირე აზიის ბითინიაში, ულუმბოს მთაზე დაარსებული მონასტერი.

„არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (კ. კეკელიძე).

ათონის სავანე მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე. ეგეოსის ზღვის პირას. პირველი ქრისტიანი მოწესენი იქ VIII-IX საუკუნეებიდან ჩანან, X საუკუნეში კი ათონზე გადაინაცვლა ბერძნული მონასტრების ცენტრმა. მალე სამონასტრო მშენებლობა ისე ფართოდ გაიშალა, რომ ათონის მთას მთაწმინდა ეწოდა. ქართველები ათონზე X ს. 50—60-იანი წლებიდან ჩანან — ჯერ ბერძენთა სავანეებში (ათოს სავანე, კლემენტის მონასტერი, ათანასეს ლავრა), შემდეგ კი ქართულ სავანესაც აარსებენ.

965 წ. ათონის მთას ეწვია გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე ვაჟიშვილ ექვთიმესა და მოწაფეებთან ერთად. ისინი ათანასეს ლავრაში დადგნენ. შემდეგ იქვე მივიდა ცნობილი სარდალი თორნიკე. მალე „განიტქვა პამბავი მათი“ და თანამემამულეებმა მათ სამყოფელს მი-აშურეს. მოწესეთა მომრავლების გამო იოანემ და მისმა მოწაფეებმა ათანასეს ლავრაში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნიეს, „ლავრისაგან გა-

წმორებულად. უდაბნოსა შუენიერსა წმიდისა ოვანე მას-არებელისა ეკლესიაი აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფოდეს მრავალ ჟამ“.

აჯანყებული ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ თორნიკემ ათონს დიდძალი ფასეულობა — „ოქროს და ვერცხლი და სტავრაჲ და სხუაჲ ესვეითარი“ — შესწირა. იქაურმა ქართველებმა ახალი სავანის დაარსება განიზრახეს, 980 წ. ქართული მონასტრის მშენებლობა დაიწყო და 983 წ. გაასრულეს კიდეც. ასე დაარსდა ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერი, ივირონი, რომელსაც ჩვენი წინაპრები ასე იხსენიებენ: „ლავრაჲ დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული“ (გიორგი ათონელი), „დიდი ლავრაჲ (გიორგი მცირე), „დიდი ლავრაჲ ქართველთა“ (ეზრა ათონელი) და ა. შ.

მონასტერს თავდაპირველად იოანე ხელმძღვანელობდა. მან შეიძინა მამულები, მონასტერი უზრუნველყო შემოსავლით, თანამემამულეები ჩააბა როგორც საეკლესიო-სამონასტრო, ისე სამეურნეო საქმიანობაში.

X ს. 70-იანი წლებიდან იოანესა და თორნიკეს ინიციატივით, ათონზე ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გასამრავლებლად. მათი დაკვეთით მუშაობდა ქართველ მწიგნობართა მოზრდილი ჯგუფი, დამზადდა არაერთი ძვირფასი ხელნაწერი. იოანე თვალს ადევნებდა ბიზანტიურ მწერლობას, ეცნობოდა ბერძნულენოვან ტექსტებს, არჩევდა სათარგმნელ მასალას.

მონასტრის დამაარსებელთა დამსახურება აღიარებული იყო როგორც თანამოღვაწე ქართველთა, ისე ბიზანტიელთა მიერ.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ ქართველი მწიგნობრები უცხოური წიგნების გადმოქართულებას, ერთი მაგალითი მოვიშველიოთ. დავითის ფსალმუნების ვრცელი განმარტების მთარგმნელმა დაჩიმ თავისი ნაშრომი სარედაქციოდ ტბეთის მონასტერში გაუგზავნა სტეფანე მტბევარს, თან ასეთი წერილი აახლა: „შემეშინა თარგმანებად, რამეთუ დიდი ბრალობაჲ შეემოსუენის თარგმანთა, რომელი არა განეკრძალენ. და სრულად უკეთუ ვისმეს პირველად ეთარგმნოს, მეორედ თარგმანებული წინააღდგომად გამოჩნდების და ამით არა ჯერარს. ხოლო მე არა ვპოვე პირველ თარგმანებული და ამისათვის მცირედი ესე გემო ხილვად გამოვთარგმნე და წინაშე ღმრთისმოყუარებისა შენისა განსაკითხავად მოგიძღუანე. ხოლო შენ მსგავსად მოცემულისა მაგის სიბრძნისა შენისა

განიკითხე და ჯერთუ-იყოს შენ მიერ დაენერგენ შორის ეკლესიასა, და უკეთუ არა ღირს რა მე იყოს წიგნი ესე, დაწუ და სიუცბე ჩემი დაფარე და მე მამხილე და შევიწინაო“. ეს სიტყვები ეკუთვნის ბრწყინვალე თარგმანის ავტორს. დავითის ფსალმუნების ვრცელი განმარტებანი შესულია „შატბერდის კრებულში“.

IX—X სს. ხელნაწერები წარმოდგენას გვიქმნის საგადამწერლო საქმის განვითარებაზე. მათ გადამწერთა („მწერალთა“) ზოგიერთი სახელიც შემოუნახავთ. ამ პერიოდის კალიგრაფთაგან ცნობილი არიან ამონა (IX ს.) — 864 წლის სინური მრავალთავის ერთ-ერთი ვადა-მწერთაგანი; მაკარი ლეთეთელი (XI ს.) — გრიგოლ ხანძთელის მოწაფე, ასევე ერთ-ერთი გადამწერი სინური მრავალთავისა; მიქაელი (IX ს.) — აღიშის სახარების გადამწერი (897 წ.); გაბრიელი (X ს.) — პავლე მოციქულის ეპისტოლეთა წიგნის გადამწერი; მეორე გაბრიელი (X ს.) — ჯრუჭის პირველი ოთხთავის გადამწერი; გაბრიელ პატარა (X ს.) — გადამწერი სხვადასხვა სასულიერო ნაწარმოების უზარმაზარი კრებულისა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ შეიცავს „შუშანიკის მარტივობისა“ და „აბო თბილელის მარტივობის“ ნუსხებს. როგორც მისი ანდერძიდან ჩანს, გაბრიელს საგანგებოდ უძებნია კრებულში შესატანი თხზულებების დედნები და რაც პარზლის მონასტერში (სადაც თვითონ მოღვაწეობდა) ვერ უნახავს, იშხნის მონასტრიდან უთხოვია; ივანე საფარელი (X ს.), რომელსაც სინას მთაზე გადაუწერია იოანე ოქროპირის ცხოვრება; იოანე ბერაი (X ს. დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის დისწული) — 973 წ. შატბერდის მონასტერში გადაწერა და პარზლის ახლადაშენებულ ეკლესიას შესწირა სახარება, რომელიც პარზლის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. უმთავრესად მისივე ხელით და ხელმძღვანელობითაა გადაწერილი ცნობილი „შატბერდის კრებული“; იოანე-ზოსიმე (X ს.), რომლის ხელით რამდენიმე წიგნია გადაწერილი საბაწმინდის ლავრასა და სინას მთაზე. იოანე-ზოსიმე თავის ყველა ხელნაწერს ურთავდა ანდერძს, სადაც მიუთითებდა გადაწერის თარიღს და ასახელებდა თავის თანამშრომლებს; იოანე ტატანელი (X ს.) — ურბნისის ოთხთავის გადამწერი; იოანე ჩირაი (X ს.) — ოშკის კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენელი; მიქაელ ვარაზ ვარეს ძე, სტეფანე, გიორგი გელასისძე (X ს.) — 978 წ. ოშკის მონასტერში გადაწერეს ბიბლია, ცნობილი ოშკის ბიბლიის სახელით, დამკვეთი ყოფილა ცნობილი თორნიკე ერისთავი.

4. ხუროთმოძღვრება. ხელოვნება

ა) ხუროთმოძღვრება

IX—X სს. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ახალი სტილის ჩამოყალიბების ხანაა. ჩვენამდე მოღწეული ძეგლები, ისევე როგორც წინა პერიოდიდან, საფორტიფიკაციო და საეკლესიო ნაგებობებია. ნაკლებად ვიცნობთ სამოქალაქო შენობებს — სასახლეებს, სასწავლებლებს. მეტისმეტად მწირია ჩვენი წარმოდგენა საცხოვრებელი სახლების შესახებ როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

მშენებლობის ხელოვნებასა და საშენ მასალაში რაიმე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის დამახასიათებელია ფორმათა და თემათა დიდი მრავალფეროვნება. ზოგი წინა ხანიდანაა შემკვიდრებით მიღებული, ზოგი სრულიად ახალია. ზოგი მათგანი მკვიდრდება და ვითარდება, ზოგი მაშინვე კვდება.

ქართული საეკლესიო მშენებლობის წამყვანი არქიტექტურული ტიპია ჯვარგუმბათოვანი ტაძარი ე. წ. „ჩახაზული ჯვრის ტიპი“. მისი ქვედა კორპუსის საფუძველია ქრისტიანობის უმნიშვნელოვანესი სიმბოლო — ჯვარი. გვეგმაზე იგი წარმოადგენს სწორკუთხედში ჩაწერილ ჯვარს, რომლის დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერბი დაგრძელებულია და აღმოსავლეთით სრულდება ნახევარწრიული ფორმით — აფსიდით. აქ არის საკურთხეველი. ჯვრის მკლავებსა და სწორკუთხედს შორის დარჩენილი არე — ე. წ. მკლავთაშორისი სივრცეები — დასავლეთით თავისუფალ სივრცედ რჩება, აღმოსავლეთით კი, საკურთხეველის ორივე მხარეს, მცირე ზომის სწორკუთხა, ასევე აფსიდებით დასრულებული სათავსებია — საღიაკენე და სამსხვერპლო.

საკურთხეველს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. იგი იატაკის საერთო დონიდან ერთი ან ორი საფეხურითაა აწეული. აქ ღვთისმსახურთა მიერ აღსრულდება საიდუმლო (ლიტურგია). საკურთხეველში დგას ტრაპეზი — შემადლებული ადგილი, რომელზეც საღვთო უამის წირვა აღსრულდება. საიდუმლოს აღსრულება მრევლისათვის უხილავი უნდა იყოს, ამიტომ საკურთხეველის წინ ქვის ზღუდე-კანკელია მოწყობილი. ადრეულ ხანაში კანკელები საკმაოდ ღია, გახსნილი ყოფილა — რამდენიმე გადაბმული თაღისაგან შედგებოდა. ე. ი. ლიტუ-